წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. შაბათი, 24 სექტემბერი

# სახალხო ფურცელი

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ[illegible] 10 [illegible] სხვა ადგილებიდან კავკ[illegible] ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 445 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 445

გულდამწვარი დედა ცეცილია ივანეს ასული ყაუხჩიშვილი, შვილები: სოსო, სალუშკა და აგნესა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამ თვის 22-ს უდროოთ გარდაეცვალათ საყვარელი

## ს ტ ე პ კ ო,

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს $5^1/_2$ საათზე. დასაფლავება შაბათს 24-ს ამა სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე (თბილისის ქუჩა, სახლი ყაუხჩიშვილისა, გიმნაზიის ეზოში). 317—1—1

---

უზომოთ დამწუხრებული მამიდები: ლუცია იოსების ასული კოკოჩაშვილი და მარიამ იოსების ასული ყაუხჩიშვილისა ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამ თვის 22-ს უდროოთ დავკარგეთ საყვარელი ძმის წული

## სტეპკო ყაუხჩიშვილი

პანაშვიდი ყოველ საღამოს $5^1/_2$ საათზე. დასაფლავება შაბათს, 24-ს ამა სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე (თბილისის ქუჩა, სახლი ყაუხჩიშვილის, გიმნაზიის ეზოში. 31—1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი

## გრიგოლ ივანეს ძე ვასილიევი

გარდაიცვალა მოულოდნელათ 22 სექტემბერს ღამის 12 საათზე, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ევგენია კონსტანტინე ლოლობერიძის ასული შვილებითურთ, ძმები ლეონიდ და ბარის კონსტანტინეს ძენი ლოლობერიძეები, დები: თამარა ზინაიდა, ალექსანდრა ლარისა, და გალინა კონსტანტინე ლოლობერიძის ასულნი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $6^1/_2$ საათზე. დადიანოვის გადასახვევში ჩაჩანიძის სახლი, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 319—1—1.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღებას დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმმა** **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (კანის, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ბუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**იყიდება** ბოჭკები და ჩინი, აგრე თვე ქირავდება ღვინის საკეთებელი მარანი მთელის მოწყობილებით. მოიკითხეთ ქ. ქუთაისი, კახიანაური, სახლი—კლო-ქვურული. 313—1—3

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

## მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37. 304—1—თვით.

---

## ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.

გ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.

სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოათავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად. 298—4—12.

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან:

## ცეცხლიანი ეშმაკი

დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ მსახიობ ქალის ხოლოდნაიას მონაწილეობით.

სასუმარო სურათი. **პრინცი როგორ გახდა ყაჩაღი.** სასუმარო სურათი.

---

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან

## და სიმღერა დაუთავებელი დარჩა

დრამა ხუთ ნაწილად მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

**ქ რ ო ნ ი კ ა გ ო მ ო ნ ი** უკანასკნელი მიმდინარე ამბავი.

**ა ნ ო ნ ს ი:** ორშაბათიდან, 26 სექტემბრიდან:

**პეტროგრადის ნამირალები,** დრამა პეტროგრადის არისტოკრატიის ცხოვრებიდან. საუკეთესო მსახიობთა მიერ შესრულებული

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

---

ქუთაისის ქალაქის თ ე ა ტ რ ი წარმ. № 2.

შ ა ბ ა თ ს, 24 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ს 1916 წ.

**წარმოდგენილი იქნება**

ლ ე ო ნ ი დ ა ნ დ რ ე ე ვ ი ს

## დღენი ჩვენი ცხოვრებისა

4 მოქმ. თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გომელაური ზ, გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხოკვაძე ვ.,

რეჟისორის თანაშემწე ალ. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

---

# მსოფლიო ომი.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისანაგ**

22 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ოფიც. ცნობა. ბუბნოვის, შელოვოვის და კორიტნიცის მიდამოებში მედგარი ბრძოლა გრძელდება. მდ. ცენიუვკაზე ზოლოტოი ლიპის სათავესთან მოპირდაპირე თავგამოდებით იცავს თავის ბრძოლის ხაზს. დორნაბატრის მიდამოებში ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა ბრიგადის უფროსი სახელოვანი გენერალი ხორანოვი, რომელსაც მონაწილობა მიუღია 1877 და 1904 წ. ომში.

დობრუჯში რუსის კანონერკები დუნაიაზე ზარბაზნებსა და თოფებს უშენდნენ როსვს (რაშჩოვის) ჩერნოვოდის ზემოთ. ეს არის ბულგარელების მარცხენა ფრთა. როსოვი—ქამადინ—პერველის მიდამოებში ჩვენი შეტევა გრძელდება.

კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**ბუქარესტი.** რუმინეთის ცნობა. გურგიუს და გარჯიცას მთებში, ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ასპარეზზე, ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 300 ჯარის კაცი და ბევრი სამხედრო მოწყობილობა. 16 ენკენისთვეს კაიმენის მიმართულებით დახევის დროს ალიუტას ველზე დავატყვევეთ 300 ჯარის კაცი და წამოვიღეთ 5 ტყვიისმფრქვეველი. ეხლა ეს ჯარი ალიუტის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთებში კონტრ-იერიშებს აწარმოებს. ჯიუს ველზე ობროჩის და პეტროსენის მთების მიდამოებში მტერმა მედგრად შემოგვიტია და მოშხამული გაზიც იხმარა. იერიში მოვიგერიეთ. ორშოვაზე მოტანილი მტრის იერიშიც მოვიგერიეთ. დობრუჯში სამხრეთ ასპარეზზე ჩვენ ძველ ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირეს ვუტევთ. მტერი მედგრად იცავს თავს.

**ლონდონი.** მახლობელ აღმოსავლეთში მომქმედ ინგლისის მთავარშტაბის ცნობა სტრუმის მარცხენა ნაპირას ბულგარელების სამმა ბატალიონმა სამავიერო იერიში მოიტანა ჩვენს სანგრებზე. ჩვენმა ჯარმა ხიშტებით უკუაგდო მტერი და გააქცია. აქ ტყვედ წა ოვიყვანეთ 40 კაცი. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დააყარეს მტერის ტრანსპორტს პორსინიკთან და სერესისაკენ მიმავალ მატარებელს.

**პარიზი.** ოფიც. ცნობა. მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზისა. ბულგარელებმა დასტოვეს სტარკოვგრომსა და მდ. ბროდზე თავისი თხრილები. როგორც ეტყობა, ჩრდილოეთისაკენ მიემართებიან. მარჯვენა ფრთაზე სერბიელთა ჯარმა დაიჭირა სოვიჩი, ფრანგების ჯარმა კი პეტორაკი და ვრბენი. ინგლისის ჯარმა სტრუმის აღმოსავლეთით დაიჭირა ენიკოი.

**კორფუ.** სერბიელების ოფიციალი ცნობა. სერბიელებმა აიღეს კოტჩობაი თავისი სამთო ბატარეით, რომელშიაც 4 ზარბაზანი იყო. ბრძოლა გრძელდება.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სომას ჩრთილოეთით ფრანგებმა დაიმკვიდრეს მერაკი და სენ-პურ-სენ ვაარტის ტყე. სომას სამხრეთით, ბულუაან სანტერის მიდამოში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. უამინდობა ხელს უშლიდა მფრინავთა მოქმედებას.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა. მთელ ღამეს დილამდე შხაპუნა წვიმა მოდიოდა. ოკურ-ლაბეს მახლობლად ბრძოლა მარჯვედ მიდის. უამინდობა აფერხებს მფრინავთა მოქმედებას. გუშინ ერთი ჩვენი საფრენი აღარ დაბუნებულა.

**პეტროგრადი.** „მთავრობის განკარგულებათა და კანონდებულებათა კრებულში“ მოთავსებულია შემდეგი დადგენილებანი: 1) შეეზღუდოს ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელება სამუსიკო სასწავლებლისა და კონსერვატორიის მოწაფეებს. 2) რუსეთის შაქრის მრეწველობა და აღებ-მიცემობის გამოკვლევა დაევალოს სახელმწიფო საბჭოს წევრს დეიტრიხს. მურატოვს სახელმწიფო საბჭოს წევრს დაევალოს ტყავის მრეწველობა-აღებ მიცემობის გამოკლევა. 4) ზოგიერთ ადგილებზე გავრცელდეს 1916 წ. 27 მარიამობისთვის დადგენილება მინისტრთა საბჭოსი ბინებზე ქირის მომატების შესახებ.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

—

დობრუჯას თავს ესხმიან, როგორც გერმანიის, ისე ოსმალეთის ჰაეროპლანები; ბუქარესტში გერმანელებმა ჩააგდეს ყუმბარები რითაც დახოცეს რამდენიმე მცხოვრები და მათ შორის ჩრდილოამერიკის შეერთებულ შტატების ქვეშევრდომი.

—

საბერძნეთის სატახტო ქალაქ ათინაში დიდი ჩხრეკაა. ერთ ოფიცერს უპოვეს ტახტის მემკვიდრის სურათი ზედ წარწერით: „მეფე გიორგი მეორე“.

—

გერმანიამ უარი განაცხადა ქალაქ კვალიდან წაყვანილ და დატყვევებულ საბერძნეთის ჯარის განათავისუფლებაზე.

—

ვენიზოლის, რომელიც საბერძნეთის მეფეს, გადაუდგა გაიქცა კუნძულ კრიტოსზე და რევოლიუციონური მთავრობა შეადგინა, მას განზრახვა აქვს კრიტოსზე ახალი პარლამენტი მოიწვიოს.

—

ცნობაა, რომ დობრუჯაში თავი მოუყრია დიდძალ ბოლგარეთ-ოსმალეთ-ავსტროუნგრეთისა და გერმანიის ჯარებს, რომელთაც ხელმძღვანელობს გერმანელი ცნობილი სარდალი მაკენზენი.

—

ბოლგარული გაზეთის „კამბანას“ ცნობით ბოლგარეთის მთავრობას დობრუჯიდან სამხედრო სამსახურში გაუწვევია 20—50 წლამდე ყველა მამაკაცები,

—

გაზ. „დიილი ტელეგრაფი“-ს ცნობით უნგრეთში 16—18 წლის ჭაბუკთაგან და 50 წელზე უხნოვანეს მამაკაცთაგან შეუდგენიათ თავისუფალ მოლაშქრეთა ბატალიონები. შემდგარა ლაშქარი რიცხვით 300000, რომელიც ოთხი კვირის ვარჯიშობის შემდეგ გაიგზავნება ბრძოლის ველისკენ.

—

კუნძულ კრიტოსის რევოლიუციონური მთავრობის ხელმძღვანელი ვენიზელოსი ყოველგვარ საცდელს ხმარობს, რომ მოძრაობას მისცეს არა დინასტიური ხასიათი, არამედ ეროვნული. იგი მოუწოდებს ხალხს არა მეფისა და კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ ბოლგარების განსადევნათ საბერძნეთის ტერიტორიიდან და მაკედონიის განსათავისუფლებლათ.

—

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციაში დიდი ბრძოლები ალაგ-ალაგ გრძელდება. დიდი სიმედგრით იცავს თავს ავსტრიის ჯარი გალიციაში. დორნავატრასთან ბრძოლაში დაჭრილ იქნა ცნობილი რუსის გენერალი ხორანოვი.

**დასავლეთის ასპარეზი.** სომმას ჩრდილოეთით ფრანგებმა რამოდენიმე წარმატება კვლავ ნახეს. სომმას სამხრეთით საარტილერიო ბრძოლაა. ინგლისის ჯარის ბრძოლის ხაზზე უამინდობის გამო ბრძოლები შესწყდა. დანარჩენ ასპარეზზე სიწყნარეა.

**რუმინიის ასპარეზი.** ალიუტას ტყეში რუმინელები უკან დახევას განაგრძობენ. ჯიუს ველზე და პეტროშენის მთებზე ავსტრიელები მიდგრად უტევენ რუმინელებს. ავსტრიელები და გერმანელები აქ ძალუმად მიიწევენ წინ და მოშხამულ გაზებსაც ხმარობენ. დობრუჯაში რუმინელები მტერს უტევენ, ხოლო ორშოვაში მტრის იერიში მოიგერიეს.

**მაკედონიის ასპარეზი.** სტრუმაზე მოკავშირეთა ჯარმა ბულგარელთა მედგარი იერიში მოიგერია. საერთოდ მოკავშირეთა ჯარმა ყველგან რამოდენიმე წარმატება ნახა.

დანარჩენ ასპარეზებზე მდგომარეობა უცვლელია.

საბერძნეთში ამბოხება გრძელდება.

---

საბერძნეთის რევოლიუციონერ მთავრობას ჰყავს ამ ჟამად მხოლოდ 24000 ჯარისკაცისაგან შემდგარი „ეროვნული არმია“ ეს ეროვნული არმია“ შესდგება მეამბოხე მოქალაქეთა და გაქცეულ ჯარის კაცთაგან.

— —

იმ დეპეშის გამო თითქო მოკავშირე სახელმწიფოებს მოეთხოვოთ საბერძნეთისათვის, რომ დაუყონებლივ გამოუცხადე ბულგარეთს ომიო „რანნეე უტროს“ თანამშრომლის შეკითხვაზე გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს უთქვამს ამ ჟამად, როდესაც საბერძნეთში ისედაც დიდი ამბები ხდება მოკავშირე სახელმწიფონი არავითარ ზომებს არ მიმართავენ საბერძნეთის წინააღმდეგ და თუ მდგომარეობის გამოურკვევლობა დიდხანს გასტანს მაშინ მოკავშირენი დაუყონებლივ მიმართავენ ზომებს თავიანთი ინტერესების დასაცავათო.

— —

მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატებს იმედი აქვთ, რომ ვენიზელოსის, მოქმედება და ფლოტის გადადგომა აიძულებს საბერძნეთის მეფეს კონსტანტინეს, რომ მან ომი გამოუცხადოს ბულგარეთსო.

— —

დღიდან ომის გამოცხადებისა დღემდე მოკავშირეთა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით ისეთ ცნობებს, თითქოს გერმანელები ათასგვარ მახინაცებს ეწეოდენ და ძალიან ცდილობდენ ზავის ჩამოგდებას.

აი ახლაც გაზ. „ტაიმსი“ არკვევს რა ინგლისის სამხედრო მინისტრის ლლოიდ-ჯორჯის განცხადებას, დასძენს: კარგათ ვიცით თუ როგორ საიდუმლოთ მუშაობენ გერმანელები ზავის ჩამოსაგდებათ. მათ სცადეს ეს ისპანიაში, ჰოლანდიაში, ვატიკანში, და უკანასკნელ დროს შვეციაშიც მათ დაუგზავნეს აგენტები სად არ გინდა მარა ამაოთ. ყველას მით და მათ თანამგრძნობლებს უმტყუნად ბედმა. დროა ბოლო მოუღოთ მათ ვერაგულ ცდას, რაიცა ჩვენ მიგვაჩნია შეურაცხმყოფელათო. „ტაიმსი“ ისე კამათობს თითქოს დამარცხებული გერმანია იხვეწებოდეს ზავს და გამარჯვებული მოკავშირენი არ იყვნენ თანახმანი. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო რომ იტყვიან სწორედ ამაზე ითქმის.

## სამხედრო მიმოხილვა

გუშინდელ ჩვენს მიმოხილვაში ის დავსკვენით, რომ ცენტრალ კოალიციის სურთთ შტაბს გენ. ჰინდენბურგის წინადადებით გადაწყვეტილი აქვს უეჭველი დაცვა ბალკანეთის ყელისა მისი შენარჩუნება და, რომ ამისათვის ფართე ოპერაციას დაიწყებს ხსენებულ კოალიციის მხედრობა რუმინეთის წინააღმდეგ.

იმის გამოსარკვევად თუ სად დაიწყებენ შეტევას გერმანელები, საჭიროა გავიხსენოდ რუმინიის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდგომარეობა; რუმინია განიყოფება ორ დიდ პროვინციად, ეს პროვინციებია: მოლდავია და დიდი ვალახია; მოლდავია რუსეთისა და ავსტრიის გამყოფია, ხოლო ვალახია—ავსტრია ბულგარეთისა და აღწევს ყოფილ სერბიის საზღვრებამდის ტურნ-სევერინთან. იმ ადგილას კი, სადაც ეს ორი პროვინცია ერთდება ავსტრიის მიწაწყალი შეჭრილია მოლდავიასა და ვალახიას შორის ისე, რომ მოლდავიას სამი მხრითა აქვს ფართედ გარშემორტყმული მოწინააღმდეგების ჯარი.

ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ცენტრალ კოალიციის მხედრობისათვის.

ისინი ეცდებიან მოლდავიის მოწყვეტას და ამიტომ კი ორი მხრიდან შეუტევენ: ერთი მხრით ტრანსილვანიიდან და მეორე მხრით დობრუჯიდან.

დობრუჯის ყოფილი ბრძოლებს მხოლოდ მომზადებელი ხასიათი ჰქონდათ, მომზადება იგი დასრულდა და ბრძოლებიც შესწყდა. აქ ჯერჯერობით თავდაცვით დაკმაყოფილდებიან გერმანელ-ბულგარელები და, თუ ჩრდილოეთიდან მოწოლილი გერმანია ავსტრიის ჯარი რამეს გახდა მაშინ დობრუჯაშიც დაიწყებენ ბულგარელები შეტევას.

პეტროშენის ბრძოლები, მიუხედავად იმისა, რომ აქ ავსტრიელები წინ იწევენ არ უნდა ჩაითვალოს ზემოხსენებულ ფართე შეტევის დასაწყისად იგი უფრო დემონსტრაციაა, რუმინიის ძალების დასაკავებლად და თვით შეტევა უფრო აღმოსავლეთით მოხდება.

შეუძლებელიც არის გერმანელებისა-ჯერ წინსვლის დაწყება რადგანაც სარაილის შეტევის ხასიათი ჯერ გამორკვეული არ არის და უეჭველია, რომ გაიწევენ თუ არა ბულგარელები დობრუჯაში წინ, გენ. სარაილ მეტის სიძლიერებით ამოქმედდება ამიტომ ბულგარელები ჯერ მაკედონიაში საქმის მოგვარებას ეცდებიან და მხოლოდ შემდეგ მიაწვებიან რუმინიას ორი მხრიდან.

შვერელი.

## პროტოპოპოვის დანიშვნა.

სახელმწიფო სითათბიროს დეპუტატის და პროგრესიულ ბლოკის წევრის პროტოპოპოვის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნამ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია რუსეთის მაღალ წრეებში ვერ შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ პროგრესიულ ბლოკის წევრი პროტოპოპოვი მინისტრად არის დანიშნული.

„ნოვოე ვრემია“ სწერს: პროტოპოპოვის დანიშვნა რუსეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამქრიახობის გამოცდა. ესე იგი, თუ პროტოპოპოვმა ვერ მოაწესრიგა რუსეთის შინაური ცხოვრება და ვერ მოაწყო სასურსათო საქმე, მთავრობაც ზურგს შეაქცევს სამუდამოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და წინანდელ პოლიტიკას დაადგებაო. ასე უნდა გავიგოთ ჩვენ რუსეთის ბიუროკრატიის ორგანოს სიტყვები.

ეს განცხადება სრულიად არ შეეფერება სიმართლეს მთავრობას სრულიადაც არ გამოუცვლია პოლიტიკა, და ისევ ძველ გზას ადგია და კვლავაც, როგორც უწინ, ეცდება მარტო მან გადასწყვიტოს სახელმწიფოსათვის აუცილებელი საკითხები. თავისთავად ლიბერალ მინისტრის დანიშვნა არაფერს მოასწავებს, ვინაიდგან მისი უფროსი კიდევ სხვა არის და კაბინეტის უმრავლესობაც მის წინააღმდეგ იქმნება დარაზმული, თუ მან რამდენადმე ლიბერალური პოლიტიკა აწარმოვა და მას მუდამ ჩააჩუმებენ; საყურადღებოა გავიხსენოთ ის სიტყვები, რომლებითაც პროტოპოპოვმა მიმართა ჟურნალისტებს: როგორი შეხედულებისა ვარ პრესაზე, ეს თქვენ კარგად უწყით, მე ჯერ კიდევ არ მიმიღია ინსტრუქციებიო. მაშასადამე, თუ მოხდა, რომ ინსტრუქციებს მისი შეხედულება პრესაზე ეწინააღმდეგება, ისიც ეცდება შეხედულება შეიცვალოს და მთავრობის საერთო პოლიტიკას შეუფარდოს თავისი მოქმედება. ლიბერალი რის ლიბერალია, თუ არ გამოიცვალა პოლიტიკური მრწამსი და „გარემოებას არ შეეთვისა“.

მაგრამ რად დასჭირდა მთავრობას ლიბერალი მინისტრის დანიშვნა? არა სჯობდა მინისტრად მტკიცე ხვასტოვი დარჩენილიყო?!

რუსეთის შარშანდელ

ჯარის რეორგანიზაცია მოხდა. დაარსდა ახილი სამხედრო ქარხნები და ტყვია წამალის მიწოდების საქმე საუკეთესოდ მოწესრიგდა; ამ მომზადების შედეგიც მალე გამოჩნდა: ბრუსილოვმა მედგრათ შეუტია გალიციით მტერს და საგრძნობლად დააზიანა იგი.

მაგრამ სწორედ ამ დროს, როდესაც საერთო აღფროვანებას უნდა ჰქონოდა ადგილი რუსეთში, დაღვრემილი რუსეთის მოქალაქეები გძელ გძელ წყებათ იდგნენ ფურნეებთან და პურის მიღებას ელოდებოდნენ.

პური შემცირდა რუსეთში, რომელიც წინად მთელი ევროპის მკვებავი იყო, პური კი ბევრი იყო, მაგრამ გადამალული ჰქონდათ სპეკულიანტებს ნიხრის მომატების მოლოდინში; ასე იყო ყველანაირ სურსათ-სანოვაგის და პირველ საჭიროებას საგნების გაყიდვის საქმე. საქონელს მალავენ, ხალხი აუტანელ მდგომარეობაშია, გაუმატებენ ნიხრსა და საქონელი გამოჩნდება, პირველ ყოვლისა ეს ახასიათებს დღევანდელ რუსეთის ცხოვრებას;

მთავრობამ ვერ[illegible] საზოგადო ორგანიზაციებს [illegible] საქმის მოწესრიგებას,

პრესამ თავის დროზე ეს აღნიშნა და დრტვინვაც დაიწყო. დროა ბიუროკრატიამ თავი გაანებოს ამ ყოვლად უსაფუძვლო შიშსა და დაიახლოვოს საზოგადოება, ხალხი, საერთო უბედურების მოსპობისაკენ მიმართულ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებადაო.

საცაა მოიწვევენ სათათბიროს და, რასაკვირველია იქაც ასეთი სულისკვეთება გაუფლდებოდა, ბიუროკრატიის ტბორესთვის კი ხმა ამაღლებული საზოგადოება საშიში და არა სასურველია.

აი, სწორედ, რომ ეს არ მოხდეს საზოგადოების გასაჩუმებლად შინაგან საქმეთა თანამდებობაზე მიიწვიეს „პროგრესისტი“

კატონ კობახიძე.

## ქართული პრესა.

ახირებულ შენიშვნას გვაძლევს პატივცემული „სახალხო ფურცელი“ გუშინდელ თავის ნუმერში.

აი ეს შენიშვნაც.

გაზეთ „სამშობლო“-ს ქებაც ახირებული, თავისებური სცოდნია. მოგეხსენებათ ბ-ნი რჟევსკის მოხსენების შემდეგ კიტა აბაშიძემ დიდი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვას საზოგადოება მხურვალე ტაშისცემით შეჰხვდა. თითქმის ყველა ქართულმა გაზეთმა სიტყვა ვრცლად დაბეჭდა. გაზეთ „სამშობლო“-საც გადაუბეჭდია წერილი და ქვეშ ასეთი უცნაური სარედაქციო შენიშვნა გაუკეთებია:

## სალიტერატურო შენიშვნები.

I.

წინასიტყვაობა.

თქვენი არ ვიცი, ბატონო მკითხველებო, მაგრამ მე კი თავი მომაბეზრა ერთისა და იმავე საკითხების შესახებ ათასგვარ წერილების კითხვამ გაზეთებში!

ეს ომიო... ეს ერობა კავკასიაშიო... ეს სომეხ-ქართველთა დამოკიდებულებაო... ეს პარტიობაო... ეს შენჩემობაო... ეს მილიტარიზმიო... ეს ინტერნაციონალიზმიო... ეს რუსული ლიბერალიზმიო, ეს ნაციონალიზმიო, ეს ..—მაგრამ ვის შეუძლია ჩამოსთვალოს ყველა ის, რაც ათასჯერ იღეჭება და იწერება და რომელ წერილებსაც ჩემის მოკლე ჭკუით დაბეჩავებული და დაჩაგრული ხალხისათვის იმდენივე სარგებლობა მოაქვს, რამდენიც ენა-ტკბილ ვაჭრის იმ ქებას, რომელსაც იგი უძღვნის ხოლმე თავის დამპალ საქონელს, როცა გულითა სწყურია ამ დამპალი საქონლის გასაღება!..

მას შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს და ნამეტნავად კი მას შემდეგ, რაც იესო ნაზარეველმა თავის ღვთაებრივი ბაგეთი გვიბოძვრა—გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო—(მას შემდეგ კი, ნუ დაგავიწყდებათ, ათას ცხრაას ხუთმეტი წელიწადია გასული),—დიდ სიყვარულს მოყვასთა შორის მე მაინც და მაინც ვერა ვხედავ და დღესაც ყოველივე ჩვენთაგანი მზად არის „მოყვასი იგი თვისი სანუკვარი“ ერთ ჭიქა წყალში დაარჩოს და მერე მის საფლავზე,—მგონან ვრიშაშვილისაგან ძველი ლექსიკონიდან ამოღებული სიტყვა რომ ვიხმაროთ—სიხარულით სამაია (ფერხული) დაუაროს...

მე კვლავ არ ვიცი თქვენ რითი ახსნით ასეთ მოვლენას, მაგრამ მე—კი ისევ და ისევ ჩემის მოკლე ჭკუით, ასე მგონია, რომ ქვეყნის შექმნამდე იმ ქაოსში, რომლიდანაც მერე ღმერთმა გაათავთავა ცა და ქვეყანა, უძირო და უზომო მხეცობა და ვერაგობა უნდა ყოფილიყო ჩამარხული, თორემ ნუთუ ადამიანის თვალი აღარ უნდა გამძღარიყო და გული მისი არ უნდა შეჯერებულიყო, რომ დღესაც საანბანო ჭეშმარიტებანი სადავოთა ხდებიან და უბრალო,—სულ სადა და უბრალო—მოთხოვნილებანი, როგორიც მაგალითად, თავისუფლება სიტყვისა და რწმენისა, ხელ-შეუხებლობა პიროვნებისა, თავდაცულობა ბინისა, საიდუმლოება მიწერ-მოწერისა, სიყვარული თავის სამშობლო ქვეყნისა, დაფასება შრომისა და კუთვნილება ამ შრომის ნაყოფისა, ისე შელანძღულნი და შებრანძულნი უნდა იყვნენ, როგორც არიან დღეს?

ნუ თუ დრო არ არის შევიგნოთ, რომ თითოეულ პიროვნებას თავისებურათ სურს ოჯახის მოწყობა, თითოეულ საზოგადოებას თავისებურად უნდა ცხოვრება, თითოეულ ერს აქვს თავისი განსაკუთრებული სულისკვეთება, ზნე და ხასიათი, რომელთა მოსპობაც თვით ხალხის მოსპობას უდრის?

რატომ არ გვინდა ჩვენ ჩვენ ქერქში დავდგეთ და მხოლოდ ერთმანეთის დახმარებით განვამტკიცოთ გავაძლიეროთ ერთმანეთივე?

მაგრამ ასეთი შეგნება რაღაც ზღაპრული სურვილი გამოდის და მხოლოდ ერთმანეთისავე დარბევა დაწიოკებაში ვხედავთ ცხოვრების მიზანს...

ჭეშმარიტად, კიდევ ბევრი დრო უნდა გავიდეს, ვიდრე ადამიანი ადამიანურ ცხოვრებას სამსახურს დაუწყებდეს.

მაგრამ .. ან რა არის ადამიანი?

ადამიანი ისეთი არსებაა, რომელიც ყველაფერს შეეჩვევაო—სთქვა რუსის დიდებულმა მწერალმა დოსტოევსკიმ, მაგრამ ეს თუ მართალი თქმაა, რატომ არ ეჩვევა ადამიანი იმ სიკეთეს, რომელსაც მას ძმობა-ერთობა უქადის?

ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენებურ იმ „სოციალისტებისთვის“ მიმინდვია, რომელთა პრაქტიკული მოქმედება—ჯერჯერობით შემდეგ ფორმულაში ჩამოყალიბდა:

— ჩემი ვალები შენ,— შენი ქონება კი მეო?..

მე კი ასე მგონია, რომ ვიდრე თითოეული პიროვნება იმდენად არ განვითარდება, რომ სინათლე სიბნელეს დაამჯობინოს, მინამდე ქვეყანას არა ეშველება რა .. და მაშასადამე, მთელი ჩვენი ძალ ღონე ჯერჯერობით იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ აილაგმოს ყოველივე ბოროტმოქმედება პიროვნებათა, გაიწმინდოს ჭაობი ბაყაყებისაგან, გამოშრეს ნიადაგი დახავსებული წყალისაგან. ეს კი ადვილი ასასრულებელია, თუ ოცნებას არ გამოვეკიდებით, დავადგებით რეალურ ნიადაგს და პირველ ყოვლისა ჩვენ გულშივე ჩავკლავთ იმ მხეცს, რომელსაც სწყურია სისხლი მოძმისა, თავისივე მსგავსისა, თავისივე ტოლისა და სწორისა!..

— ეს ვერ მოხერხდება, ვიდრე ქვეყნად ქონებრივი და უფლებრივი უსწორ მასწორობა არსებობსო!—გვიმტკიცებენ ჩვენზე უფრო ჭკვიანები, მაგრამ მე ვერ გამიგია, საიდან-ღა იქნება ეს უსწორ-მასწორობა, თუ თითოეული ჩვენთაგანი შეიგნებს, რომ „ჩემს გარდა სხვასაც უნდა ჭამა და მზე და მთვარე მარტო ერთი ჯგუფისა, ერთის წრისა, ერთის წოდებისა და ერთის ერისათვის არ არის გაჩენილი. შენც იცოცხლე და მეც მაცოცხლე!“

აი რა უნდა იყოს გულისთქმა თითოეული ადამიანისა!

მაგრამ...

„უნდა იყოს“ ისეთივე ტკბილ ოცნებად ხდება, როგორც ტკბილია ზმანება ტუსაღისა, როცა იგი საკატორღო ციხის კედელზე მიჯაჭვული, სიზმარში ხედავს, რომ იგი თავისუფალია!

ღმერთმა დასწყევლოს ბოროტი ადამიანი და მისი ბოროტი გულის თქმა, თორემ ძმობა-ერთობის დამყარებისთანა ადვილი რა არის?

— ვისაც უნდა თქვენ შორის რომ უფროსი იყოს, ის ემსახუროს უმცროსებსაო—უთხრა იესო ნაზარეველმა თავის გულზვიად მოციქულებს, მაგრამ ეს წმინდა მცნება დღესაც აუსრულებელია. ყველა ჩვენთაგანი სცდილობს სხვა იმსახუროს, სხვის ხელით მოგლიჯოს ნარი და თითონ კი იპარპაშოს.

აი სად არის დასაწყისი და დასაბამი ჩვენის უბედურებისა. ასეთმა მიდრეკილებამ დაღუპა წმინდა მოძღვრება და ასეთივე მიდრეკილება გვღუპავს ჩვენ—ქართველებს! მართალია ჩვენი დღევანდელი მესვეურნი ხოხობივით თავს აფარებენ ათასგვარ ლამაზ-ლამაზ მოძღვრებას, მაგრამ ბოლო მათი—სურვილი ხალხზე გაბატონებისა. სხვაზე ბრძანებლობისა—ნათლად მოსჩანს მათ მოქმედებაშიაც.

ვინ ამბობს, რომ ლამაზი და სასიამოვნო მოსასმენი არ იყოს ამბავი იმ გმირთა-გმირის შესახებ, რომელმაც ერთ დროს, ოდესმე, უნდა დაამსხვრიოს ხუნდები ბოროტებისა და ქვეყნად სამოთხე დაამყაროს.

განა ვინ იქნება ისეთი, რომ არ სწამდეს კიდეც მძლეთა-მძლეობა ამ გმირისა, მაგრამ რწმენა სხვაა და საქმის გაკეთება კიდევ სხვა!..

„ცარიელმა თითმაო, პირი გამომკლიბაო“—ამბობს ჩვენი ხალხი და დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას რომ ვუკვირდები, სრულს ჭეშმარიტებასაც ღაღადებს.

ცარიელმა სიტყვამ, ცარიელმა დაპირებამ გნიასი გამოგვაცალა და დაგვამსგავსა იმ საპყარს, რომელსაც კიდობანში მჭადის ნატეხი არ უდევს და შემწვარმოხრაკულზე კი ოცნებობს!

მოგვეცით, ბატონებო, ჯერ პური არსობისა, მოგვეცით ჯერ საზრდო, როგორც სხეულისა, ისე სულის დასაპურებელი და მერე გვიამბეთ ზღაპრები, თორემ, აბა, რასა ჰგავს ჩვენი დღევანდელი ყოფნა?..

იგი ჰგავს ყოფნას იმ ნაცარქექიისას, რომელსაც ცეცხლი ვერ დაუნთია და ფლავი კი მოხარშული ჰგონია!..

ერთი მეზობლის ქათამი რომ გადავიდეს მეორე მეზობლის ბაღჩაში, პატრონები ერთმანეთს დახანჯლავენ, ერთი ტარო სიმინდი რომ მოსტეხოს ბავშმა მეორის ყანაში, მშობლები ერთმანეთს დასჭამენ, ერთი გროში რომ გაილოს ვინმემ მეორის სასარგებლოდ, საყვედურით ავსებს ქვეყანას, ორ გროშიანი კაკარდა რომ მიიკრას ქართველმა კაცმა, თავი ხვანთქარი ჰგონია, ორიოდე რუსული რომ ისწავლოს ჩვენმა შვილმა, დედ-მამას აღარ ჰკადრულობს, ორიოდე ფუტურო ლექსი რომ დასწეროს ვინმემ—აკაკი წერეთლობს; ჯვარ-მენდლებისთვის მამა შვილს გაჰყიდის, შვილი მამას, ბუზმენტებისა და ფულას—ფულასებისათვის თვალს იბრმავებს

„ისეთის გულწრფელობითა და მამულიშვილურის გრძნობითაა გამთბარი ბ-ნი კიტა აბაშიძის სიტყვა, რომ ჩვენ განცვიფრებაში მოვდივართ, რად გაურბის პატივცემული ორატორი ჩვენ წრესა და ამისთანა მისწრაფების შემდეგ ნეტავი რაღა გვაქვს ჩვენ და იმას გასაყოფი?..“

გამოდის, გულწრფელი მამულიშვილობა „სამშობლო“-ს პრივილეგია ყოფილა და ამიტომ, ვისაც კი გულწრფელობას შეამჩნევს, ყველას თავისკენ იპატიჟებს. მაგრამ, როგორც მალე დარწმუნდება გაზეთი „სამშობლო“, ბ-ნი კიტა აბაშიძე ისევ თავის ადგილას დარჩება და მის გულწრფელ მამულიშვილობასაც არაფერი დააკლდება. ჩვენ კი ჩვენის მხრით ვურჩევთ „სამშობლო“-ს ქება მაინც ისწავლოს რიგიანი და ყველაფერს ვაჭრულს ხასიათს ნუ მისცემს. განა ვაჭრების იდეოლოგები რომ ხართ, ყველაფერი სავაჭრო დაზგაზე უნდა დააწყოთ?..

ჩვენ არ ვიცით რა სახელი ვუწოდოთ „სახალხო ფურცლის“ ამ სიბრძნესა, მაგრამ, რაკი დიდ უკაცობას იჩენს ჩვენის მიმართულების შესახებ და წაკითხულის აზრი ვერ გაუგია, იძულებულნი ვართ განვმარტოთ ჩვენი ქება ბ-ნ კიტასადმი მიძღვნილი:

არც ერთი სოციალისტი, იმ ფორმაციისა, როგორიც არიან ჩვენებური სოციალისტები—ვერ იტყვის და ვერც ხელს მოაწერს ბ-ნ კიტას სიტყვას, ხოლო თუ ბ-ნმა კიტამ ეს სიტყვა სთქვა, იგი სოციალისტი არ უნდა იყოს და, მაშასადამე, არ ეკადრება იმ ჯგუფში ყოფნა რომელიც მართლაც რომ ვაჭრობს სოციალიზმის სახელით.

* * *

ბ—ნ რეევსკის ჩამოსვლამ, კვლავ, გადაშალა ჩვენი გულისთქმა და ბევრმა ქართველმა გულახდილად ამცნო რუსეთის ლიბერალებს მათი უსამართლობა. მოგვყავს, სხვათა შორის ბ—ნ სპ. კედიას მშვენიერი სიტყვა.

**სპ. კედია** მე არსებითად არ შევეხები საკითხს, მეტად მიმაჩნია ის გაცილებით უკეთესს პირობებში გაირჩა წარსულ „საერობო თათბირზე სადაც წარდგენილი იყო დიდძალი ფაქტიური მასალა, გულდასმით დამუშავებული და შესწავლილი [illegible] მონაწილეთაგან, რომელნიც შემდეგში ორ მოპირდაპირე ბანაკად განაპენ, სომეხთა, უმცირესობად და ქართველ-რუს-თათართა დიდ უმრავლესობად დღევანდელ საკამათო პირობებში კი ეს საკითხი მოკლებულია ამგვარ უპირატესობას. და აი ყველა ამ მასალის გაცნობისა და პირადი ინტერესის მიხედვით მისი აწონ-დაწონის შემდეგ, კავკასიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მივიდა უკვე ცნობილ დასკვნამდე თუ გარეშე პირისთვის ეს მასალები დამარწმუნებელი არ არის იმ სახით რა სახითაც იგი უმრავლესობისათვის იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ძნელი და შეუძლებელია სხვამ სხვისი გაიგოს. არაქართველი ვერ ჩასწვდება იმ პსიხოლოგიურ მოტივებს, რომელთაც ინებეს, წარდგენილი მასალის მიხედვით, საკითხი სწორედ ისე გადაჭრილიყო, როგორადაც გადაიჭრა. ბ-ნ მომხსენებელსაც ჰხამს მოიკრიფოს მიხვედრილობის ენერგია და განსჭვრიტოს ფსიხოლოგიური საიდუმლონი კავკასიის თათბირის წევრთა უმრავლესობისა და მაშინ, მრწამს, ისიც უმრავლესობის ერობას მიემხრობა. კერძოდ ქართველისთვის ერთი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მან იცის, თუ რა მოუხდება და რა უფრო საშურია ძალთა განწყობილების იმ პირობებში, რომელიც დღეს დამყარდა მის სამშობლოს საზღვრებში. რომ ეს სავსებით გაიგოთ უნდა ქართველი ბრძანდებოდეთ. მეორე საიდუმლო ის გახლავთ, რომ ქართველი ამ ერთ საუკუნეში გამოიცადა და დარწმუნდა, რომ იგი რუსეთის მოძულებული გერია და რომ ტყუილი თავის შეწუხება იქნება რაც მისთვის სანიტრელია იმას წაპოტინოს, მაშინ როდესაც მთელი 50 წლის განმავლობაში მისთვის არსებული უვარგისი ერობაც არ გაიმეტეს. ესეც რომ უკლებლივ გაიგოთ, უნდა ჩაგრული ქართველი ბრძანდებოდეთ და არა ბატონიერის შვილი!

ასეა, თუ ისე, ქვეყნის უმრავლესობამ თავისი სიტყვა სთქვა. იცის, რასაც ამბობს და რისთვისაც ამბობს და ეს საკმარისი უნდა იყოს, ვისთვისაც მისი აზრი ძვირფასი და საჭირო იყო. ეხლა პროგრესიული და ლიბერალი რუსეთის სინიდისზე ჰკიდია, გაუწევს ამას ანგარიშს თუ არა. დაგვანახეთ, თუ რამდენათ სჩვევია და რამდენათ მოსდგამს პროგრესიულ რუსეთს ქვეყნის უმრავლესობის აზრის შეწყნარება და პატივისცემა.

სალაპარაკოდ უფრო იმიტომ გამოვედი, რომ ჩემი სურვილია, თუ ეს შევძელი, ბ-ნ მომხსენებელს თან არ გავატანო ერთი ყალბი აზრი, რომელიც მას შეუდგენია ქართველ-სომეხთა გამწვავებული დამოკიდებულების შესახებ. მომხსენებლის აზრით ქართველ-სომეხთა ანტაგონიზმი ეკონომიურს ნიადაგზეა აღმოცენებული და მხოლოდ კლასიური ხასიათი აქვს მისი აზრით აქ ერთმანეთს ეჯიბრება ერთის მხრით ქართველი თავად-აზნაურობის ეკონომიური ინტერესი და მეორეს მხრით სომხის ბურჟუაზიისა და სხვა არაფერი. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ეს აზრი, რომლის ექსპლუატაციას დიდიხანია ეწევიან სხვა და სხვა იაფ ფასიან გამოცემაში და რომელიც დღეს თქვენც გამოსთქვით, სრულიად შემცდარი გახლავთ. მიზეზი უწყებული ანტაგონიზმისა უფრო ღრმაა იგი ეკონომიურ ინტერესებზე გაცილებით უფრო შორს მიდის, იგი **ეროვნულია.**

მართლაც, საქართველოში შემოსვლის დროს ყოველ სომეხს თან მოაქვს თავისი ეროვნული სახე, რომელიც მრავალ საუკუნეს ჩამოუქნია და შეუმტკიცებია. სომხის ბუნებაში ორგანიულად არის ჩაშენებული სომხური მოდგმა, სული, კულტურა; მოკლედ რომ ვსთქვათ, სომხეთის მთელი ეროვნული წარსული, რომლის განგრძობა და განმტკიცება მას ევალება, მთელის გარდუვალი ეროვნული ჩამომავლობის კანონით. სომეხს უყვარს თვისი ეროვნების ყოველი ატრიბუტი. იგი ვერც ერთზე ხელს ვერ აიღებს და არც უნდა აიღოს. პირიქით მისი დანიშნულება ის არის, რომ ყველა ეს განამტკიცოს და განავითაროს. აი ასეთი წარსულით და ასეთი სავალდებულო მომავლით შემოდის იგი საქართველოში. მაგრამ ეს ეროვნული სწრაფვა სდუმს, ვიდრე შემოსული სომეხი ლუკმა პურის შოვნას უნდება. მაგრამ ღრმად ჩაესობა თუ არა საქართველოს დედამიწაში, მოღონიერდება თუ არა ეკონომიურად, იგი თავის ეროვნულ საქმეს იწყებს. სომეხი აწარმოებს საქართველოს შუაგულში სომხურ პოლიტიკას, რომელიც ვერც ერთ შემთხვევაში ქართული პოლიტიკა ვერ იქნება; იგი განამტკიცებს სომხურ კულტურას საქართველოს საზღვრებში, რომელიც ვერც ერთ შემთხვევაში ქართულ კულტურის განმტკიცება ვერ იქნება! იგი ფრთას აშლევინებს თავის ეროვნულ ზრახვებს, რომელიც ყოველ შემთხვევაში ქართული ზრახვა არ არის. როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე სომხობა თავის ეროვნულ თვითგამოთქმას და თვით მოქმედებას აწარმოებს, იგი ზღუდავს სიქართველოს უზენაესი პატრონის ეროვნულ გასაქანს. სომხობა ხდება ქართველების ეროვნული გაზდისა და თავისუფალი შემოქმედების შემბორკველ ფაქტორად. სომხის ეკონომიური გაძლიერება, ქართველის ეკონომიურ გაძლიერებას არ მოასწავებს. ყოველი ნაჭერი მიწა, რომელზედაც სომხის სხეული აღიმართება და გაიშლება, დაკარგულია საქართველოსთვის; მას ვერ დაეკარება ქართველის სამეურნეო ეკონომიური კულტურა; იქ ქართველის ფიზიკას ადგილი არ აქვს, მაშასადამე, იქ ვერც ქართული სულიერი კულტურა პოვებს ასპარეზს, რადგან ადგილი უკვე დაჭერილია. სომხობა იძენს, ქართველობა ჰკარგავს. სომხობა საქართველოში სამშობლოს იძენს. ქართველობა კიდევ თავისას ჰკარგავს. აქ არის ბრძოლა ორის მრავალ ათასწლოვან ეროვნულ სახისა და ენისა. აქ სომხის მთელი ეროვნული შინაარსი ეჯახება ქართველის მთელ ეროვნულ შინაარსს. პირველია თავდამსხმელი, მეორეა მომგერიებელი, პირველია მომხდური, მეორეა დამხდური პირველი ახალის შეძენას ლამობს, მეორე თავის საკუთარის შენარჩუნებას ცდილობს. აქ [illegible] ლი მსოფლიო იბრძვის. ან ერთმა უნდა აიღოს ხელი თავის [illegible] მეორემ. თუ არა და ტყუილია!

ეს ბრძოლა მუდამ იარსებებს, რაც დრო გავა იგი უფრო მწვავე და მკაცრი იქნება (ტაში.)

(სქ.)

---

და გულს იხშობს ჩვენ ქალთა უმრავლესობა; ჩვენი ქვეყანა პატარა ჩინეთად გადაქცეულა, ისეთი კარჩაკეტილობაა ჩვენში არსებულ „მიმართულებათა“ შორის და თქვენ კი გაიძახით — „საქართველო ავანგარდი უნდა იყოს მთელის რუსეთისა, მთელის ქვეყნიერებისაო“!..

ღმერთმა ჰქნას, ჩვენ თხას მგელი დაეპიროს, მაგრამ ვაი თუ ამ მგელმა ეს თხა შეჭამოს და „მოდი ვნახოთ ვენახის“ საქმე დაგვემართოს!..

და რომ ასეთი საქმე გვემართება, ეს ჩვენთვის ცხადზე უცხადესია...

მოგეხსენებათ, რომ ხალხის განვითარება, მისი სული და გული, მისი იდეალი და მისწრაფება გამოიხატება მის თქმულებასა და ლექს-მოთხრობებში...

მარტო ერთი „თქმულება ამირანზე“ მთელი ისტორიაა ძველი ქართველი ხალხის თავისუფლებამოყვარეობის, ა ის ათასი და ათიათასი ხალხური ლექსიც რომ არ ვიანგარიშოთ, რომლებიც ასე მკაფიოდ, ასე ლამაზად, ასე ზეაღტაცებით და ზედმიწევნით გვისურათებენ ძველი ქართველის ცხოვრების თითოეულ ნაბიჯს, თითოეულ მომენტს.

ძველ ქართველებად მე ვგულისხმობ ქართველებს მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე, გადაბრუნდა საქართველოს უფლებრივი ყოფნა და გადაბრუნდა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ნიჭიც.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებიდან დღევანდლამდე, ჩვენი ხალხური თქმულები—ლექსები იმდენადვე მდარეა ძველთან შედარებით, რამდენადაც მდარეა დღევანდელი ჩვენი ორჭოფი ყოფნა შედარებით იმ ყოფნასთან, რომელსაც განიცდიდა საქართველო, როცა მას—ავი თუ კარგი—თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჰქონდა და თვით იყო თავისი თავის პატრონი

მართალია, ჩვენ არა გვაქვს კრებული უკანასკნელი დროის ხალხურ თქმულებათა, მაგრამ რაც კი გაგვიგონია, უმეტესობა შერყვნილია, როგორც ენისა და სტილის მხრივ, ისე მგრძნობიარობით.

ამ ლექსებში აღარ სჩქეფს იმ ქართველის გაკაჟებული სული და გული, რომელიც ვეფხვივით დასძახოდა:

—„აღსდეგ, გმირო გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია, დიდხანს ძილს ჩვეულ როდი ხარ, მოგვიხმე უნჯნი ყმანია და სხვა“.

დღევანდელ ხალხურ სიმღერა—ლექსებში გამოისმის მხოლოდ სიბეჩავე და ხშირად—გოგობიჭური და ლირწული ჰანგები!..

სჩანს, ნათლად სჩანს, რომ სხვის ხელისა და უბის შემყურე ხალხს დაუკარგავს სიმტკიცე რწმენისა და სიქველე ხასიათისა!..

თვით დიდ მოძრაობის დროსაც, იმ დროს, როცა ქართველობა, მთელ რუსეთთან ერთად, ზეციდან გამოცხკარ ქადებს მოელოდა, ჩვენმა ხალხმა ვერ შეჰქმნა ერთი შესაფერი და ძლიერი ლექს-თქმულება, რაც უნდა აიხსნას ან იმითი, რომ ჩვენი ხალხი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ამ მოძრაობას და ან იმითი, რომ თვით მოძრაობა უცაბედი, სტიქიური იყო.

ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ ყოველივე არა ჩვეულებრივი, ხალხის ცხოვრების ძირიანად შემრყევი მოვლენა, შესაფერ გამოთქმასაც პოულობდა ხოლმე ხალხურ პოეზიაში (ამის მაგალითები აურაცხელია ქართულ სიტყვიერებაში), მაგრამ დღეს ამას ვერა ვხედავთ.—

თუ არ ვიანგარიშებთ ცნობილ ლექს „არსენ ჯორჯიაშვილზე“, რომელსაც, „ქალაქური“ ელფერი უფრო დაჰკრავს ვიდრე კილო ხალხ. პოეზიისა, მთელი გულისთქმა „ერთობის“ ხალხისა, ჩამოყალიბდა სხვათაშორის ერთ უშნო და ულაზათო, ყოველგვარ პოეზიას მოკლებულ ლექსში, რომელიც ასე იწყება:

ერთი ბოთლი, ორი შუშა,
ძირს ბურჯღუა, მაღლა მუშა და სხვა.

რა შუაშია აქ ბოთლი და შუშა, ამის გამოცნობა მიგვინდია ჩვენებურის ფუტურისტებისათვის, მაგრამ ამ ფაქტის აღნიშვნა კი საჭიროა ჩვენდა დასაფიქრებლათა და ჩვენი ხალხური პოეზიის ასეთ დაცემის მიზეზების გამოსაძიებლად.

გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე დაცემა და გაფუქსავატება—თუ შეიძლება ასე ითქვას, ნათლად ეტყობა უკანასკნელ დროის ჩვენ სიტყვაკაზმულ მწერლობასაც—ნამეტნავად, მელექსეობა—პოეზიას და არაუკანასკნელი ადგილი ამ რეაქციაში უჭირავს ყოვლად ნიჭიერს, მაგრამ ამავე დროს ყოვლად გაყვიზინებულს ახალგაზდა მგოსანს გრიშაშვილს.

ჩვენ შემდეგ წერილში გავარჩევთ გრიშაშვილისა და მის ძმათა რამდენიმე უკანასკნელ ლექსს და ვეცდებით დავანახვოთ მკითხველებს, რომ ასე წერა არ შეიძლება, თუ კი გვინდა, რომ მომავალში აყვავდეს და გაიფურჩქნოს ჩვენი ხალხოსნური ლიტერატურა...

ია ეკალაძე.

# ახალი ამბავი.

სახალხო განათლების სამინისტრომ იმპერიის ყველა სასწავლებლის უფროსებს ცირკულიარები დაუგზავნა იმის შესახებ რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს საქალებო სასწავლებლების მერვე კლასის სწავლება ისე რომ მომზადებული მასწავლებლები გამოდიოდენ. ამის გამო 21 ამ თვეს ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის დარბაზში მოხდა თათბირი ქუთაისის საქალებო გიმნაზიის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის მერვე კლასების მასწავლებელთა, თათბირს დაესწრენ აგრეთვე სახალხო სკოლების დირექტორი და ინსპექტორები. თავმჯდომარეობდა სავაჟო გიმნაზიის დირექტორი ბ ნი გორბუნოვი.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ გამოირკვა რომ საჭიროა მერვე კლასების სწავლების რეორგანიზაცია, მაგრამ რადგანაც ასეთი რეორგანიზაცია დიდ შრომას და დაკვირვებას მოითხოვს, ამიტომ თათბირმა ამოირჩია რამდენიმე კომისია, რომელთაც მიანდო მოხსენების წარდგენა მომავალ კრებაზე.

სხვათა შორის თათბირმა საჭიროდ დაინახა აუცილებლად შემოღებულ იქმნეს ქართული ენის მეტოდიკის სწავლება, რომელსაც კვირაში ორი გაკვეთილი უნდა დაეთმოს. ქართული მეტოდიკის პროგრამისა და მოხსენების დამუშავება მიანდო დ. ნ. უზნაძეს, დეკ. მ. ცაგარეიშვილს და ი. თ. ცინცაძეს.

თათბირის წევრთა მეორე კრება ახლო მომავალში გაიმართება.

✦ ცნობილი ნიკოლაძის საქმე ბრალმდებელს სენატში განუსაჩივრებია, ასევე მოქცეულა თვით ბრალდებული ნიკო ნიკოლაძე,

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მეორე კლასამდე საგნების სწავლება უკვე ქართულ ენაზე სწარმოებს.

მოწაფეები უფრო მეტის ხალისით ითვისებენ საგნებს.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების“ მორიგი მე-7 ნომერი. ჟურნალი სუფთადაა გამოცემული და ჩვეულებრივად შინაარსიანია.

✦ საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ სოფლიდან ჩამოტანილ ყურძენს ჩარჩები ყიდულობენ; დილა ადრიანათ უხვდებიან გლეხებს, მეტს აძლევენ და მერე იმ ყურძენს ფრთი ორად ყიდიან მცხოვრებლებზე. ამნაირად შეუძლებელი გახდა თვით სოფლებისაგანვე ყურძნის ყიდვა.

✦ სოფ. შარიდამში ერთი 13 წლის ბავშვი სკოლიდან ბრუნდებოდა ხიდით მდ. ჯოჯორზე გადიოდა, უცბად თვალები აუჭრელდა, წყალში ჩავარდა და და იღუპა.

✦ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ქალაქის თვითმართველობის ყურადღება კაზაკოვისა და ძველი თბილისის ქუჩების მდგომარეობაზე, ეს ქუჩები არასოდეს არ არის განათებული და შეუკეთებელ უქვაფენილო ქუჩებზე მოსიარულენი დიდ გაჭირვებას განიცდიან დამ-დამობით.

✦ ამ დღეებში სახალხო შკოლების დირექტორი ბ. ვიშნევსკი სარევიზიოთ მიემგზავრება რამოდენიმე კვირით ბათუმის ოლქში.

✦ ს. ღანირში შარშან ადგილობრივმა საზოგადოებამ დაარსა კოოპერატიული დუქანი. ერთი წლის განმავლობაში იგი უბრალო სახლში იყო მოთავსებული. ეხლახან კი გადატანილ იქნა ახალს საგანგებოთ მისთვის აშენებულს დუქანში. წლიურ ანგარიშს დაესწრო რევიზორი, რომელიც ფრიად კმაყოფილი დარჩა გამგეობის თავდარიგით.

## თფილისი

— ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ. მუსელიუსი გადადგა თანამდებობიდან. გადაყენებულ იქმნენ თანამდებობიდან მთავარი მექანიკი ფოსტა-ტელეგრაფის ოლქისა ბ. კრასოვსკი, თბილისის ფოსტა ტელეგრაფის უფროსი ბ. მედნიკოვი ბათომისა ლიზლოვი და ქუთაისისა კიუმელლი.

— მეურნეთა ყრილობა. კავკ. საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო 21—23 ღვინობისთვეს მართავს თბილისში მეურნეთა ყრილობას მეურნეობის მდგომარეობის გამორკვევის შესახებ ომის გამო. საბჭომ უკვე შეიმუშავა პროგრამა ამ ყრილობისა.

— ჯარში გაწვევა. თბ. ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ წინადადება მიიღო შეადგინოს სიები 1918 წ. ჯარში გასაწვევთა შესახებ, ე. ი. ვინც 1898 წელსაა დაბადებული.

ავადმყოფობას ვალ. გუნია მეტად დაუუსტებია. სანთლის ფერი სახე გაჰხდომია.

ექიმები ყოველ ზომას ხმარობენ, რაც შეიძლება უშველონ ჩვენს დამსახურებულს მოღვაწეს

ამ ბოლო დროს თითქოს მოკეთება დაეტყო, მაგრამ, როგორც გუშინ გავიგეთ, ავადმყოფი ისევ შეუძლოდ გამხდარა. გუნიას უფროსი ვაჟი ქართულ გიმნაზიიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო დირექციას დაეთხოვნა და ამ გარემოებას ავადმყოფზე ისეთი გავლენა მოეხდინა, რომ გული შეჰღონებოდა.

ავადმყოფი მას შემდეგ თან და თან ცუდად ჰგრძნობს თავს.

— უპურობა და საერთოდ უსურსათობა თან და თან ცხარე ხასიათს ღებულობს თბილისში. ქალაქის გამგეობაში გუშინ არავითარი ცნობაც არ ყოფილა სურსათ სანოვაგის შესახებ გამგეობის წევრი ჯაბარი და ბ ნ შაშკოვსკის თანაშემწე ბ-ნი ვიშპიანსკი ჩრდილო კავკასიაში არიან წასულნი სურსათის საძებნელად.

## ურიგო მოვლენა.

(წერილი ქალაქის შკოლების სასკოლო სექციის საყურადღებოთ),

ის, რაც ქალაქის შკოლებში მასწავლებლის ადგილის მიღებისათვის ხდება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საუკუნოების ინკვიზიციას მოგვაგონებს.

ქალაქის შკოლაში რომ ადგილი მიიღოთ, ამისთვის არ არის საჭირო არც განათლების ხარისხი, არც ხანგრძლივი პრაქტიკა და არც საქმიანობის უნარი. თუნდაც ასი წლის მასწავლებლობის პრაქტიკა და უმაღლესი განათლება ჰქონდეთ მიღებული, მაინც უნდა გამოხვიდეთ და საკონკურსო გაკვეთილი მისცეთ. ამ უკანასკნელისაგან არაფერს თქვენი ხსნა არ შეუძლიან და ამდროს ობიექტობა მაინც იყოს დაცული.

ბ. ბ. ამრჩეველნო, ნუ თუ თქვენთვის აშკარა არ არის, რომ ასეთი არჩევანი უვარგისია? ჯერ ერთი, თუ საკონკურსო გაკვეთილი აუცილებელია, მაშინ ის უნდა ინიშნებოდეს სწორ უფლებიანთა შორის, როდესაც ერთის არჩევა საძნელო საქმეს წარმოადგენს. მეორეც რა საჭიროა სანიმუშო გაკვეთილი, რას გვამცნობს ჩვენ კონკურსი? ნუ თუ ერთ გაკვეთილს შეუძლია თქვენ უზრუნველგყოთ საუკეთესო მასწავლებლის არჩევაში? რა გარანტია გაქვთ თქვენ, რომ თქვენ მიერ არჩეული საუკეთესო მასწავლებელი, ხვალ უსაქმოთ არ გაატარებს მთელ დღეს შკოლაში, მით უმეტეს, როდესაც ისეთს ირჩევთ, რომელსაც ერთი დღეს კი არ უმასწავლებლებია?

ასეთ შემთხვევაში, ე. ი. მასწავლებლის არჩევის დროს, ყველგან და ყოველ დაწესებულებაში არსებობს ერთგვარი საზომი: პრაქტიკა და განათლება და ჩვენის ფიქრით საუკეთესო საზომათაც უნდა მივიჩნიოთ, რადგან თუ მასწავლებელს რამოდენიმე წელი კეთილ სინდისიერათ უმსახურნია საზოგადოებაში და შესაფერი განათლებაც აქვს მიღებული, მისთვის ყოველნაირი კონკურსი ზედმეტია მისი შრომა სავსებით მისს სასარგებლოთ ლაპარაკობს და როდესაც ასეთები ღებულობენ უკეთეს ადგილს, ეს ერთგვარი წახალისებაა მასწავლებლისათვის შრომაში და ახალგაზრდებსაც იმედს აძლევს, რომ მათი შრომა ჯეროვანათ და ფასებული იქნება საზოგადოების მიერ. პირიქით, როდესაც თქვენ სრულიად ახალგაზრდას ირჩევთ, მაშინ თქვენ მას უნდა იცნობდეთ სავსებით. უნდა იცოდეთ, რომ ის ახალგაზრდა გაცილებით აჯობებს დამსახურებულ პრაქტიკის მქონეს და შკოლასაც მეტ სარგებლობას მოუტანს. თუ კი საკონკურსო გაკვეთილი არის საზომი, მაშინ ახალგაზრდამ გაცილებით უნდა გაუსწროს წინ დამსახურებულს და, გიმეორებ, თუმც მაშინაც საეჭვო იქნება მისი არჩევა, მარა მაშინ კიდევ საბაბი გექნებათ და წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ერთგვარ პირობებში, ადგილი აუცილებლად ნამსახურს ეკუთვნის.

რომ ამ გვარი არჩევნები უვარგისია და კვლავ არ უნდა ექნეს ადგილი, (კონკურსით არჩევას) ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ 30 მთხოვნელისგან, კონკურსზე 8 გამოცხადდა და ეგიც არ არ იყოს, რა პირობებში ხდება კონკურსი: რვა კაცი და ხშირად მეტიც იჭერს სამ საკონკურსო გამოცდას და შემდეგ ორი კვირის განმავლობაში უცდიან შედეგს. რამდენი სისხლი ფუჭდება, როგორი ქიშპობა და შური იბადება ამხანაგთა შორის და მერე ღირს კი ეს უბრალო ადგილი ყველაფერ ამათ?

ჩვენის აზრით, საკონკურსო გაკვეთილები, როგორც უვარგისი საზომი, მოსპობილ უნდა იქმნას და მასწავლებელი უნდა ირჩეოდეს პრაქტიკის და განათლების მიხედვით, თორემ ასეთი თქვენი საქციელი საზოგადოებას ძალაუნებურად ათქმევინებს: ,,ჰე, ღმერთო ჩვენცა დახვიხსენ. ასეთის მსაჯულისაგან''!

მართ.

---

# რუსეთი.

პრესა და საზოგადოება კვლავ პროტოპოპოვზე ლაპარაკობს: მემარჯვენე შულგინს უთქვამს: ან პროტოპოპოვის მინისტრობა ხან მოკლე იქნება,

— —

პროტოპოპოვს აზრადა აქვს მოიწვიოს გუბერნატორები და შემდეგ რუსეთი მოიაროს.

— —

პროტოპოპოვი ახლო მომავალში ნადიმს გამართავს, რასაც დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

— —

სათათბიროს ფრაქციების პარტიული კრებები უკვე დაიწყო. კადეტთა პარტიაში მილიუკოვმა საზღვარ-გარეთ თავის მოგზაურობის ანგარიში წაუკითხა.

— —

მიწათ მოქმედების სამინისტროს განკარგულებით ომსკში, პერმში, ეკატერინოდარში და კიშინევში უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი გაიხსნება.

— —

პროექტია აგრეთვე შედგენილი ერთი ახალი გზათა მიმოსვლის ინსტიტუტის დაარსებისა.

— —

ხარკოვში არალეგალური სტამბა აღმოუჩენიათ და 17 კაცი დაუპატიმრებიათ.

— —

კამერიუნკერი თავადი ჯავახოვი (ქართველთა ჩამომავალია) უწმ. სინოდის ობერ პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა.

— —

გამოქვეყნდა რუსეთ შვეციის ხელშეკრულება შესახებ ამ ორი სახელმწიფოს რკინის გზების შეერთებისა და მდ. ტორნეოზე ხიდის გაკეთებისა.

— —

ნიჟნი ნოვგოროდში აუარებელი გადამალული საქონელი აღმოუჩენიათ. ათი ათასი ფუთობით ჰქონიათ დამალული ტყავი ბამბა, მაუდი და სხვა პირველ საჭიროების საქონელი. ყველა ამ საქონლისათვის რეკვიზიცია უქნიათ.

— —

ხარკოვში ვაჭარს ვასილიევს 100 ათასი წყვილი კალოში გადაუმალავს; ვაჭარი დაუტუსაღებიათ და მისთვის ოქმი შეუდგენიათ.

— —

ორლოვის გუბერნიაში ერთ სამაზრო ქალაქის გამგეობის სხდომაზე გამოირკვა, რომ გამგეობის ერთ წევრს ვაჭარს ესიპოვს ქალაქის ფქვილი კერძოდ გაუყიდნია და 1000 მან. მოუგია.

---

# უცხოეთი.

აბაშეთის (აფრიკაშია) მეფეს ისლამისადმი მიდრეკილება გამოუჩენია, ამიტომ მიტროპოლიტმა მათეოსმა მოიწვია ხალხი და ჯარი, გაანთავისუფლა ისინი მეფისთვის მიცემულ ერთგულების ფიციდან და უთხრა: დღეიდან ლიჯჯეასუ აღარ უნდა იყოს აბაშეთის ნეგუსად, ის სჯულის მოღალატეაო. ნეგუსი გადააყენეს და წინანდელ ნეგუსის, მენელიკის ქალიშვილი აიყვანეს ტახტზე.

— —

საფრანგეთში გარდაიცვალა ცნობილი ექიმი ფსიქიატრი მანონი რომელიც შეშლილების მორჩენის დროს სასტიკი ზომების ხმარებისა დიდი წინააღმდეგი იყო.

— —

იაპონიის მინისტრთა კაბინეტს დაუდგენია მთელი თავისი შემადგენლობით თანამდებობიდგან გადადგეს.

— —

,,დაგენ ნიხეტერი'' აღნიშნავს: საზღვარ გარეთის პრესა სცდილობს შუღლი ჩამოაგდოს სკანდინავიის სახელმწიფოთა შორის, მაგრამ ვერაფერს გახდებიან ისინი, ვისაც ძალიან გულით უნდა ჩვენი ომში ჩარევა; ჩვენ ვთქვით, ნეიტრალიტეტს ბოლომდის დავიცავთ და ავასრულებთ კიდევაც ამას.

— —

უნგრეთის პარლამენტის ოპოზიციას დაუდგენია ფრანც იოსებს მოთხოვნილება წარუდგინოს უნგრეთის ნაციონალურ საჭიროებათა შესახებ.

---

# ჩემი პასუხიც

## კულაშის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნ კ—ძეს.

დასასრული იხ. „სამშობ". №444.

როგორც ხედავთ, ბ. ზედამხედველო, ერთი მასწავლებლის „დანოსის" პირის გამოტანისაგან გაგათავისუფლეთ, რადგანაც მე თვითონ ვაცნობე მკითხველებს მისი შინაარსი; ამის მაგიერ თუ იმ თქვენი ქაღალდის პირს გამოიტანთ და გვიჩვენებთ, მადლობას მოგახსენებთ და ცოტათი მაინც დავრწმუნდებით თქვენ გულკეთილობაში.

თქვენა ბრძანებთ აშფოთებული: „მოიპოვებიან ისეთი მასწავლებლები, რომელთა სულის კვეთებას შეადგენს მხოლოდ პირად ინტერესებზე დამყარებული კინკლაობა და იქიდან წამომდგარი სიბეცე, ფაქტების არევ დარევა და სხვა". რა არის არეულ-დარეული, დაგვისახელებიათ მაინც.

ორხი ბრალდება არის თქვენზე მოყვანილი „დანოსში" და ორი „სამშობლოს" ფურცელზე, გარკვეულ პასუხს კი ვერც ერთზე ვერა ვხედავ. ერთ ინციდენტზე ბრძანებთ: „ამხანაგურად ვსთხოვე მასწავლებლებს, ჩემ დაბრუნებამდის მოეთმინათ ბინის ფულის მიღება და ერთმა მიპასუხა: „არაფერი შენი ამხანაგობა მე არ მინდაო". კარგი ლოგიკური დასკვნა კი არის! ნუ თუ აღარ გახსოვთ? თქვენ რომ კატეგორიულად გამოაცხადეთ, ენკენისთვემდის სადგომის, შეშის და ნავთის ფულს ვერ მიიღებთო; ერთმა მასწავლებელმა მოგახსენათ, სხვისთვის მაგენდოთ ფულის გამოწერა, ტ აი ამ წინადადების პასუხად თქვენ ბრძანეთ განრისხებულად: „მე არავის ვანდობ, თუ ძალიან მადლობელი არ იქნებით, სრულიად მოგისპობ ამ ფულებს მიღებას". როდესაც ამაზე იმავე მასწავლებელმა გიპასუხათ—თქვენი სამადლობელი არა მაქვს რაო და არ შეგეძლიათ, მომისპოთო, თქვენ უფრო განრისხდით და დაუმატეთ: „მე ამხანაგურად გამოგიცხადეთ და აწი ვნახოთ, თუ რამეს მოიღებთ დღეის შემდეგ". აი ამ უკანასკნელი ფრაზის პასუხად მოგახსენა მან,—თქვენისთანა ამხანაგი არც მეოლია და არც მინდაო. ამას დაამოწმებს მასწავლებელი ბ. მ. პატარიძე, რომელიც იქვე იჯდა და ყველაფერს ის მენდა.

ბ. ზედამხედველო! თქვენ კარგად გამოგიყენებიათ კრილოვის არაკი ერთ მგელზე, რომელიც გლეხებმა •დაიჭირეს და სცემდნენ: „რას მერჩით, ჩემი რა ბრალია, რომ რუხი ვარო" ძაღლის თავი სად მარხია მე და თქვენ ვიცითო, ერთმა მასწავლებელმა „ჰოსობიე" ვერ მიიღო და ჩემზე „დანოსი" შეიტანაო, ბრძანებთ.

მე და თქვენ რომ ვიცით ეს არა კმარა სხვებისათვის ჩვენ რაც ვიცით, ნამდვილად ის, სიმართლე, უნდა აღვიაროთ და გამოკვნებულს ადგილი არ უნდა მივსცეთ. არ ვიცი, ვინ უნდა დაგიჯეროს,—მასწავლებელმა „ჰოსობიე" ვერ მიიღოს და ამისათვის ზედამხედველზე საჩივარი შეიტანოს? თქვენ ვინა გთხოვათ „ჰოსობიე"? იმ მასწავლებელმა, რომელიც თქვენ ნიშანში ამოგიღიათ, ბ. სახალხო სკოლების ინსპექტორს სთხოვა პირველათ, — დახმარებოდა მას დირექცია და გაესტუმრებია მისი საპენსიო კასსის ვალი, რომელიც ერთ წელიწად ნახევარის შეუტანელი ჰქონებოდა, რადგანაც ვეღარ გადაერჩინა თავის ჯამაგირზე სნოვაგის მეტად სიძვირის გამო: ინსპექტორმა თხოვნა შეიტანია და აღუთქვა შუამდგომლობა დირექტორის წინაშე. შემდეგ გამოუცხადა, რომ დირექტორმა სასწავლებლის სპეციალურ საშუალებიდან შესაძლოთ ვერ დაინახა მისი შემწეობა და ბრძანა დირექციის საშუალებიდან გასტუმრებულ იქმნეს მისი ვალი, თუ დარჩება რამე წლის დამლევსო.

აქ რა შუაშია ბ. ზედამხედველი, ან და რა საერთო აქვს ამასა და „დანოსს", ან „სამშობლოში" მოთავსებულ წერილს? მკითხველი მიხვდება, აქედან რა უნდა გამოიყვანოს ბ. ნ. კ—ძეს. მას სურს—დაგვარწმუნოს, რომ მას შეეძლო—მიეცა ის „ჰოსობიე", მაგრამ, რადგანაც ის მართლ-მსაჯულია, არ მისცა ისეთ მდიდარ კაცს, რომელმაც თორმეტი ათასი მანეთის მამული იყიდა და ოცდაათ მანეთს თვეში მეჯინიბეს აძლევს.

ქსეც უნდა დავუჯეროთ, არა!? მასწავლებელმა, რომლის თვიურ ჯამაგირს შეადგენდა და შეადგენს 26—32 მანეთი, თორმეტი ათასი მანეთის მამული იყიდა და 30 მანეთს თვეში მეჯინიბეს აძლევს. ამისთანა სიმდიდრის პატრონი 30 მანეთისათვის თვეში რაზე უნდა იტეხდეს თავს, თუ მას არც სკოლის მატერიალური მხარე და არც სწავლააღზრდის საქმე არ აინტერესებს, როგორც გვარწმუნებს ბ. ნ. კ—ძე.

მასწავლებელი.

(დასასრული ხვალ).

---

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

დ. ლაილაშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი უმორჩილესად გთხოვსთ თქვენ პატივცემულ გაზეთის უახლოებელეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს.

ვინაიდგან ლაილაშის წიგნთ-საცავ-სამკითხველო, უსახსრობისა გამო ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული, მზრუნველმა კომიტეტმა წერილებით მიმართა ლეჩხუმის მკვიდრთ და აგრეთვე სხვა კერძო პირებსაც, რათა აღმოეჩინათ ხსენებულ სამკითხველოსათვის ნივთიერი დახმარება.

ასეთმა მიმართვამ ბევრში გამოიწვია თანაგრძნობა და კვლავაც იმედია, ვინც კი მიიღო მოწოდების ბარათი, უყურადღებოთ არ დასტოვებს მათდამი მიმართულ მოწოდებას და, ასეთი სიმპატიურ დაწესებულებისათვის, როგორიცაა სამკითხველო, არ დაიშურებს თავისი წვლილი მიაწოდოს მას.

დიდი მადლობის ღირსნი არიან: ქალბატონი ანნა გორგასლიძისა და ბ. პართენ წყალობას ძე გიორგობიანი, რომლებმაც, გარდა იმისა, რომ პირადათ ჩაეწერენ მუდმივ წევრებათ, შეკრიბეს თავიანთ ნაცნობ-მეგობრებში ერთ დროული შეწირულება ფულათ, ხოლო ბ. გიორგობიანმა მოუპოვა თბილისში სამუდამო წევრები 16 კაცი, რომელთა სახელი და გვარი აქვე მოგვყავს: 1) თვით ბ. პარმენ გიორგობიანი, 2) ზოსიმე ექვთიმეს ძე გუგავა, 3) ილიკო იოსების ძე ქარსელაძე, 4) ერასტი გიორგის ძე ბაკურაძე, 5) ეფრემ ხუბუკელაშვილი, 6) იოსებ ლევანის ძე ხაცურიანი, 7) სანდრო ალავიძე, 8) მელიტონ დავითის ძე ახვლედიანი, 9) ნიკიფორე სილაგაძე, 10) ერმილე ირაკლის ძე ბაკურაძე, 11) პეტრე საყვარელას ძე სადილიანი, 12) ვარლამ ნიკოს ძე ასათიანი, 13) ირაკლი კოტას ძე ახვლედიანი, 14) სოლომონ ეფრემის ძე ქარსელაძე, 15) ვარლამ პეტრეს ძე ალავიძე, 16) ალექსანდრე გიორგის ძე კორძაია და კიდევაც ამ 16 კაცი აგან სამ-სამი მანეთი საწევრო ფული სულ—48 მანეთი უკვე მივიღეთ; გარდა ამისა ამავე გიორგობიანი მეოხებით შემოსწირეს ერთ დროულათ 1) ქაიხოსრო იასონის ძე ქავთარაძემ 2 მანეთი; თითო მანეთი: 2) ნიკო გიორგის ძე გოგიბერიძემ; 3) კალისტრატე თომას ძე შენგელიამ; 4) ანტონ კოზონნიძემ, 5) დავით ნოზაძემ, 6) გიორგი ნიკოლაძემ, 7) არჩილ ხვადაგიანმა, 8) არსენ მღვდელაძემ და ათი შაური—9) ირაკლი პარტყავამ.

ასე რომ თელათ ბ. პართენ გიორგობიანის წყალობით მივიღეთ მისგან 57 მან. 50 კ.—რაც შეეხება პატივცემულ ქ-ნ ანნა გორგასლიძისას, ჩვენ სამკითხველოსადმი მისი ყურადღება შემდეგში გამოიხატება: მივიღეთ მისგან სულ 30 მან. ამ ფულებიდგან 3 მან. მისივე საწევრო ფული. ხოლო დანარჩენი 27 მან. შემოწირულია მისივე საშუალებით შემდეგ პირებისაგან: სამ-სამი მანეთი—ლიზა გიორგის ასული ახვლედიანისაგან, ნატალია ალმასხანის ასული ლორთქიფანიძისაგან, ილიკო ხარიტონის ძე დოლიძისაგან, სოლომონ დავითის ძე ფურცელაძისაგან, იოსებ ლორთქიფანიძისაგან, გიორგი ლასხიშვილისაგან, ფედოსია სიმონის ასული ჭავჭავაძისაგან, თითო მანეთი: ელიკო ლორთქიფანიძისაგან, პეტია ქავთარაძისაგან, დავით ჩხეიძისაგან, ვიქტორ ქავთარაძისაგან, ნინა ლასხიშვილისაგან-ათ-ათი შაური: ვეტუნისაგან და С. Сагалова-საგან.

გარდა ამისა იმავე მოწოდების საშუალებით კერძო პირთაგან მივიღეთ: 1) სამსონ ბაკურაძისაგან და 2) ივანე ჯღამაძისაგან ორ-ორი მანეთი; სამუდამოთ წევრებათ ჩაეწერენ და შემოიტანეს სამ-სამი მანეთი: ისიდორე ლევანის ძე ქარსელაძემ, სამსონ ოტიას ძე ბაკურაძემ (ამ უკანასკნელმა საწევრო ფულის გარდა შემოსწირა კიდევ სამი მანეთი), თავ. ევსევი ნიჟარაძემ—5 მან. თავ. რაჟდენ ნიჟარაძემ 10 მან., სიმონ გიორგის ძე მიროშნიკოვმა 2 მან., ტიგრან კაჭკაჭოვმა 3 მან., გრიგოლ კეიდიამ 8 მანეთი, მიხაილ დავითის ძე მაჭავარიანმა 10 მან., კნეინა მენიკი გელოვანისამ 3 მან., მღვდ. ალექსანდრე გერსამიამ 3 მან. საწევრო და 2 მან. შემოწირულება და მთავარ-დიაკვანმა ილარიონ თვარაძემ 3 მანეთი.

დ. ლაილაშის სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი ულრმეს მადლობას უცხადებს ქალბ. ანნა გორგასლიძისას და პართენ გიორგობიანს მათი ასეთი უანგარო შრომისათვის და ყველა შემომწირველთ და წევრებათ ჩაწერილებს, რომელთა ყურადღებამ სამკითხველოს არსებობის მიეცა სახსარი და საშუალება.

მზრუნველი კომიტეტის { თავჯდომარე არსენ მჟავანაძე. წევრი-მოლარე თავ. მიხ აფაქიძე }

---

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"

---



# რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 „ |

---

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ.

---

მუშაოზს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაშვილების საკურნალო

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც წამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილი. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

---

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა ბლენიოზოლი პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, პაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის ბლენიოზოლი რადიკალურათ სპობს გონორეის მაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „ბლენიოზოლი", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" პ. შაქარაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი ია ნ. კოლეგოვი.

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)